საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2020 წლის 2 ოქტომბერი**

დისციპლინური საქმე №237/18-3
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2018 წლის 24 სექტემბრის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 22 მაისის №237/18 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2020 წლის 2 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, მოსამართლე -- -- მიმართ, დისციპლინური სამართალწარმოება შეწყდა კანონიერების ნაწილში.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორი მიუთითებს, მოსამართლე -- -- საქმის განხილვის ეტაპზე გადაწყვიტა გასაუბრებოდა ბავშვს მხარეთა დასწრების გარეშე, ხოლო ბავშვის მიერ მიცემული განმარტება გაასაიდუმლოვა. საჩივრის ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ მათ სხდომის დარბაზში ჩაუქრეს შუქი, ისხდნენ სიბნელეში, თავზე დაადგნენ მანდატურები, რომ არ გასულიყვნენ დარბაზიდან და დედას არ შეძლებოდა ბავშვის დანახვაც. აღნიშნული ქმედებით, მოსამართლემ მათ აღუკვეთა თავისუფლება 40 წუთით, რაც სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულს წარმოადგენს.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. 2018 წლის 4 მაისს -- -- განცხადებით მიმართა -- რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა დამცავი ორდერის გამოცემა 6 თვის ვადით მოძალადის -- -- მიმართ.

2018 წლის 4 მაისის განჩინებით წარდგენილი განცხადება მიღებულ იქნა წარმოებაში, ხოლო მისი განხილვა ჩაინიშნა 2018 წლის 8 მაისს. განცხადების განხილვა გადაიდო 2018 წლის 12 მაისს. მოსამართლემ გადადო გადაწყვეტილების გამოცხადება. 2018 წლის 12 მაისის განჩინებით არასრულწლოვან -- -- გასაუბრების ჩანაწერი (12.05.2018) გასაიდუმლოვდა, ხელმისაწვდომი დარჩა მხოლოდ სასამართლოსა და -- -- წარმომადგენლებისათვის (პირის სრულწლოვანებამდე).

2018 წლის 14 მაისის გადაწყვეტილებით -- -- შუამდგომლობა დამცავი ორდერის გამოცემის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

2018 წლის 14 მაისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა -- -- და -- --, რომელიც დავაში ჩაება როგორც მესამე პირი (-- -- ბიოლოგიური დედა).

2.2. საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --, რომელმაც 2018 წლის 22 მაისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი მიიღო წარმოებაში. საქმის განხილვა დაინიშნა 2018 წლის 28 მაისს. -- სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 28 მაისის განჩინებით -- -- და -- -- საჩივრები არ დაკმაყოფილდა; -- რაიონული სასამართლოს 2018 წლის 14 მაისის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა:

-- -- 2018 წლის 24 სექტემბრის №-- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია).

4. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება - „მოსამართლის სხვა ქმედება, რომელიც არ შეეფერება მოსამართლის მაღალ სტატუსს (მოსამართლის მაღალი სტატუსისათვის შეუფერებელი ქმედება (ქცევა), ჩადენილი სასამართლოში ან მის გარეთ, რომელიც აშკარად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს ან საყოველთაოდ აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს და ამით ლახავს სასამართლოს ავტორიტეტს ან ზიანს აყენებს სასამართლოსადმი ნდობას)“ (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

იმისათვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრის საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია განისაზღვროს კონკრეტულად რომელი ქმედება შესაძლოა მოვიაზროთ ამ მუხლის ქვეშ.

სამოსამართლო ეთიკის წესების მე-9 მუხლის თანახმად, მოსამართლე ღირსებითა და სათანადო თავაზიანობით უნდა ეპყრობოდეს პროცესის მონაწილეებსა და დამსწრე საზოგადოებას. ამასთან, სასამართლო სხდომის დარბაზში სხდომის თავმჯდომარე (მოსამართლე) ვალდებულია უზრუნველყოს წესრიგის დაცვა, იმოქმედოს კანონის შესაბამისად და პროცესის დამსწრე ყველა პირისაგან მოითხოვოს კორექტული დამოკიდებულება სასამართლოს მიმართ.

ბანგალორის პრინციპების 6.6. პუნქტის თანახმად, მოსამართლე იცავს წესრიგსა და ეტიკეტს ყველა სასამართლო განხილვის მსვლელობისას და მოქმედებს მოთმინებით, ღირსეულად და თავაზიანად სასამართლო სხდომის მხარეთა, ნაფიც მსაჯულთა, მოწმეთა, ადვოკატებისა და სხვა პირების მიმართ, რომლებსაც მოსამართლე მიმართავს თავისი ოფიციალური სტატუსიდან გამომდინარე. მოსამართლემ უნდა მოსთხოვოს ასეთივე ქცევა მხარეთა კანონიერ წარმომადგენლებს, სასამართლოს თანამშრომლებს და სხვა მოსამართლის გავლენის, მის დაქვემდებარებაში თუ მისი ზედამხედველობის ქვეშ მყოფ პირებს.

მოსამართლის მხრიდან, დავის მხარისადმი უხეში, უპატივცემულო დამოკიდებულება არღვევს მხარის უფლებას და ჩრდილს აყენებს ავტორიტეტსა და სოლიდურობას, რომლებიც უნდა სუფევდეს

სასამართლო დარბაზში. სასამართლო სხდომაზე და მის გარეთ მოსამართლე ყოველთვის თავაზიანი უნდა იყოს და პატივს სცემდეს გარშემო მყოფთა ღირსებას[1].

მოსამართლე უნდა იცავდეს ეთიკის ნოერმებს, ეთიკური ნორმების დაცვა და ეთიკური ნორმების დაცვის დემონსტრირება როგორც პროფესიული, ისე პირადი ასპექტით მოსამართლის ცხოვრების მნიშვნელოვანი ელემენტია. მთავარია არა ის, თუ რას აკეთებს ან არ აკეთებს მოსამართლე, არამედ ის, თუ რა გააკეთა, ან რისი გაკეთება შეუძლია მოსამართლეს გარშემომყოფთა აზრით. ფაქტია, რომ საზოგადოება მოსამართლისგან ქცევის მაღალ სტანდარტებს მოელის. არაკორექტული ქცევის გამოსავლენი კრიტერიუმია იმის განსაზღვრა, ხომ არ ვნებს ასეთი ქცევა მოსამართლის უნარს, პატიოსნად, მიუკერძოებლად, დამოუკიდებლად და კვალიფიციურად შეასრულოს მოსამართლის მოვალეობები, თუ, გარეშე დამკვირვებლის აზრით, ქმნის შთაბეჭდილებას, რომ მოსამართლეს არ შეუძლია, ჯეროვნად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები. თითოეული მოსამართლე უნდა უფრთხილდებოდეს არა მხოლოდ საკუთარ, როგორც ცაკე აღებული მოსამართლის და პიროვნების ავტორიტეტს და პრესტიჟს, არამედ მთლიანად სასამართლო ხელისფლების ავტორიტეტს.[2]

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) 2002 წლის 3 დასკვნაში აღნიშნულია, რომ სამოსამართლო დავების გადაწყვეტის არსებული მეთოდი ყოველთვის ნდობას უნდა იმსახურებდეს. უფლებამოსილებები, რომლითაც მოსამართლეები არიან აღჭურვილები, უშუალოდ დაკავშირებულია ისეთ ღირებულებებთან, როგორიცაა სამართლიანობა, ჭეშმარიტება და თავისუფლება. მოსამართლეების მიმართ გამოყენებული ქცევის სტანდარტები გამომდინარეობს ამ ღირებულებებიდან და მართლმსაჯულების განხორციელების საფუძველს წარმოადგენს (8). ამასთან, საზოგადოებრივი ნდობა და პატივისცემა სასამართლო ხელისუფლებისადმი სასამართლო სისტემის მუშაობის ეფექტიანობის გარანტიებს წარმოადგენს, ცალსხად ნათელია, რომ სამოსამართლო ქცევა პროფესიულ სფეროში საზოგადოების წევრების მიერ განხილება, როგორც სასამართლოების მიმართ ნდობის განუყოფელი ნაწილი (22).

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლემ არასრულწლოვანი ბავშვი დაკითხა პირისპირ, მხარეთა დასწრების გარეშე, ხოლო ამ პროცედურის პერიოდში ბავშვის დედის მხარე გამოკეტა სხდომის დარბაზში, ჩაუქრო შუქი და 40 წუთის განმავლობაში აღუკვეთა თავისუფლება. იმისათვის, რომ მომხდარიყო მითითებული გარემოების დეტალური მოკვლევა, დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურმა სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტიდან გამოითხოვა სხდომის ამსახველი ვიდეო მასალები, რომელთა დეტალურად გაცნობის შედეგად აღმოჩნდა, რომ კონკრეტული ფაქტი ვიდეოზე ასახული არ არის.

შემდგომ ეტაპად, დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის თანამშრომლის მიერ მოხდა დავის მონაწილე მხარეების დაბარება და დაკითხვა. საჩივრის ავტორის -- -- მიერ დადასტურდა საჩივარში მითითებული გარემოებები, კერძოდ მოსამართლემ მიუთითა მანდატურს, რომ დარბაზში დაეტოვებინა და გარეთ არ გაეშვა მხარეები, რის შემდეგაც 40 წუთის განმავლობაში ისხდნენ მანდატურის მიერ შუქჩამქრალ დარბაზში და ტელეფონის საშუალებით ანათებდნენ ოთახს, რათა ჰქონოდათ ერთმანეთის დანახვის საშუალება. ასევე დაიკითხა -- -- (-- -- წარმომადგენელი), რომელმაც აღნიშნა, რომ მოსამართლის მითითებით გავიდა გარეთ და დარბაზში დატოვა მოწინააღმდეგე მხარე და მისი წარმომადგენლები, შესაბამისად იგი არ შესწრებია ფაქტს რაზეც საჩივრის ავტორი მიუთითებს.

უნდა აღნიშნოს, რომ საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით არ დადასტურდა საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოება მხარეთა სასამართლო დარბაზში იძულებით დატოვების შესახებ, რაც თავის მხრივ, უტყუარი ფაქტების

[1] მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრიციპები და კომენტარები, თბილისი 2015, გვ. 192
[2] სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილება 4/01-2018

არარსებობის პირობებში გამორიცხავს მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების შესაძლებლობას. რაც შეეხება მოსამართლის მიერ არასრულწლოვანის დამსწრე პირთა დასწრების გარეშე დაკითხვის ფაქტს, აღნიშნული არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნორმებს, ამდენად, მოსამართლის ქმედება ამ კუთხითაც ვერ ჩაითვლება დისციპლინურ გადაცდომად.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2020 წლის 2 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 13 წევრთაგან - 13 ხმით), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75^{12} მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №237/18 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი